ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.02.2016
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/16

შეკითხვა:

ადვოკატი „გ“ უწევდა იურიდიულ დახმარებას და წარმოადგენდა ამხანაგობის ერთ-ერთ წევრ „ა“-ს ინტერესებს სასამართლოში ამხანაგობისა და ამავე ამხანაგობის წევრ „ბ“-ს წინააღმდეგ. ამხანაგობის წევრმა „ბ“-მ ცნო სარჩელი. შემდგომ, ამხანაგობის წევრმა „ბ“- მ მიმართა ადვოკატ „გ“-ს და უთხრა, რომ თავადაც ჰქონდა ამხანაგობის წინააღმდეგ პრეტენზია, რაც შესაძლოა დაუკავშირდეს ზემოაღნიშნულ დავას, თუმცა უშუალოდ ამხანაგობის წევრ „ა“-ს მიმართ არ ჰქონდა არანაირი პრეტენზია. ამ შემთხვევაში, შეუძლია თუ არა ადვოკატმა „გ“-მ წარმოადგინოს ამხანაგობის წევრ „ბ“-ს ინტერესები ამხანაგობის წინააღმდეგ.

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას“.
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ“.
განსახილველ შემთხვევაში, ამხანაგობის წევრმა „ა“-მ ცნო მეორე ამხანაგობის წევრ „ბ“-ს სარჩელი, თუმცა ადვოკატ „გ“-ს მიერ ამხანაგობის წევრ „ბ“-ს ინტერესების წარმოადგენამ შესაძლოა წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი, მითუმეტეს, რომ ზემოაღნიშნული კლიენტების

საქმეები არ წარმოადგენს ერთი და იგივე საქმეს, თუმცა შესაძლოა ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ ერთი ამხანაგობის წევრისათვის იურიდიული მომსახურების გაწევის შემდგომ, მეორე ამხანაგობის წევრის ინტერესების წარმოდგენამ დაკავშირებულ საქმეზე, ამხანაგობის წინააღმდეგ არსებული დავის შემთხვევაში, საფრთხეს უქმნის ყოფილი კლიენტის ინტერესებს და შესაძლოა საქმის წარმოების პროცესში წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.